ცნობის ფურცელი

№ 2202 ორშაბათი, 7 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2202

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

САФАБРИКО — საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—94)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და შაბათობით, 11—12 საათამდე.

მრ. მ. ხოხოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ნ.

(წლ.) ტელეფონი № 274.

რადგან კბილის ექიმი

ი. პ. აბალოშენიშვილი

1 ივლისიდან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება. (5—3)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ექიმი

გ. დ. ნასარიძე

წავიდა საზაფხულოდ მანგლისს, სადაც მიიღებს შინაგან სნეულებ. ავადმყოფთ (აფთიაქის პირდაპირ, სახლი მაკაროვისა). (2—2)

ცინკოგრაფია

ყოველ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი

(დასასრული *)

„მეორე, საჭიროდ მიაჩნია, ყურადღება მივაქციო ერთ ელემენტარულ მოსაზრებას, რომელსაც ყოველთვის ივიწყებენ: რამდენადაც უფრო თვალსაჩინო იქნება მოსწავლისათვის ის გარემოება, რომ სკოლაში მიღებული სულიერი საზრდო ნაყოფიერია იმაზე, რომელსაც სკოლის მტერნი აწვდიან, იმდენად სკოლის ავტორიტეტი უფრო აიწევს იმის თვალში. აქედან აშკარაა, რომ იმ მასწავლებელს, რომელიც თავის ცოდნას არაფერსა ჰმატებს, არ ავარჯიშებს სწავლის საქმეს, ორნაირი ვნება მოაქვს: სადიდაქტიკო ჲ საპედაგოგიო. გაკვეთილის კარგად მომზადებისა და გადაცემის გარდა მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ გაკვეთილი იარაღია მოსწავლის აღსაზრდელად. უფროსს კლასში, განსაკუთრებით რუსულ ენისა და ისტორიის გაკვეთილებზე, მასწავლებელნი უნდა სცდილობდნენ სწორე შეხედულება ჩაუნერგონ მოსწავლეებს ბევრ ისეთ საგანზე, რომელიც ყალბად აქვთ წარმოდგენილი. ამ მხრივ მასწავლებლის მეცადინეობას ნაძალადეობის ბეჭედი არ უნდა ესვას: დარიგება თვით საგნის განმარტებიდან უნდა გამომდინარეობდეს. არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ ამ ჟამად ყველგან დაეცა ეგრედ წოდებული საუბრები, რომელიც იმართება უფროსს კლასებში შინ დაწერილ თხზულებათა (რუსულ ენიდან) გასარჩევად. ამ საუბრებზე მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს იმ საკითხებს, რომელიც არ შეიძლება ჭაბუკს არ აღელვებდეს სამოქალაქო ისტორიისა, სიტყვიერების თეორიისა და რუსეთის ლიტერატურის ისტორიის შესწავლის დროს. თვით თემები თხზულებისათვის ერთმხრივია; „მსჯელობას“ თითქმის სრულიად ერიდებიან რვეულებს ბევრჯელ აღარ უბრუნებენ. ხშირად მასწავლებელნი თავის გასამართლებლად ამბობენ, რომ დრო არა გვაქვს რვეულების შესასწორებლადაო. ცოტაოდენ სიმართლეს ესეც შეიცავს, მაგრამ საპედაგოგიო საბჭომ უნდა გამოსძებნოს საშუალებანი ამ დაბრკოლების ასაცილებლად. მასწავლებელს შეუძლიან, მაგალითად, მოსწავლენი ჯგუფებად დაჰყოს და თვითეულ ჯგუფს სხვა და სხვა თემა მისცეს და სხვა და სხვა დრო დაუნიშნოს თხზულების წარსადგენად. მეორეს მხრივ—ზოგი თემა შეუძლიან რუსულის ენის მასწავლებელმა მისცეს, ზოგი კიდევ—ისტორიისა და ძველ ენების მასწავლებლებმა. შინაური თხზულებანი იმით არის საყურადღებო, რომ მოსწავლენი სცდილობენ დამოუკიდებლად საკუთარ აზრების გამოთქმას. რაც უფრო ყურადღებით და გულდასმით მოეკიდებიან მასწავლებელნი შინ დაწერილ თხზულებას, მით უფრო დარწმუნდებიან მოსწავლენი, რომ სკოლა ზრუნავს იმათ სულიერ ინტერესებისათვის. შინაურ თხზულებათა გარჩევა უთუოდ უნდა დაუკავშირდეს უფროს კლასის მოსწავლეთა მიერ წიგნების შინ კითხვას. შინაური კითხვა ნაყოფს მაშინ გამოიღებს, როცა მოსწავლენი შეიყვარებენ სერიოზულ კითხვას, ე. ი. ისეთს, რომლის წაკითხვის შემდეგაც ანგარიშს სწევენ, რა გამოვიტანეთ წაკითხულიდანაო. შეთანხმება და გონიერად დაკავშირება შინაურ კითხვისა, საწერ ვარჯიშობისა და დაწერილთა კლასში გარჩევა ჭაბუკს ფიქრს ულვიძებს და უნერგავს პატივისცემას სულიერ შრომისადმი. ამას გარდა მოსწავლე ისმენს ამხანაგებისა და მასწავლებლის მოსაზრებებს თავის თხზულების შესახებ და თანდათან რწმუნდება, რომ თვით აზრი ფრთხილად და წინ დახედულად უნდა გამოსთქვას; რწმუნდება, რომ ბევრი მუშაობაა საჭირო ძნელ და საზოგადო საკითხებზე თავის აზრის გამოთქმამდე.

„მესამე, კლასის გარედაც მასწავლებელთ შეძლება აქვთ განუმარტონ მოსწავლეთ ესა თუ ის შეხედულება და თავიდან აიცილებინონ წესების დარღვევა. საოცარი თავ-აშვებულება და ქედ-მოუხრელობა, რომელიც საშუალო სკოლის ზოგიერთ ჭაბუკს ეტყობა, აიხსნება მეტად გავრცელებულ ყალბ შეხედულებით. ამ შეხედულების მეოხებით წყნარი და ზრდილობანი ქცევა უფროსებთან სამარცხვინოდ არის მიჩნეული ყმაწვილ კაცისათვის; ჰფიქრობენ, ვითომ ყმაწვილი კაცი, როცა ასე იქცევა, გულის მოსაგებად თავს უვლის და ეფერება უფროსსაო. აქ ყოფა-ქცევა შედეგია ყალბ შეხედულებისა. აშკარაა, ამ შემთხვევაში მასწავლებელი სასჯელს არ უნდა დასჯერდეს: უნდა ეცადოს დაარწმუნოს მოსწავლე, რომ შემცდარია, რომ ყალბი შეხედულება აქვს. ბრძოლაა საჭირო მეორე ყალბ აზრთანაც: მოსწავლეებს ჰგონიათ, რომ ვალდებულნი არიან ხმის ამოუღებლად დაემორჩილნენ ამხანაგთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას. როდესაც დემონსტრაციას ერთად, ჯგუფად ჰმართავენ, სასჯელის გადაწყვეტას უნდა უძღოდეს დარიგება. ამ დარიგებამ მოსწავლეებს დანაშაული უნდა მოანანიოს და ხელი ააღებინოს უმრავლესობის მიმართ ზნეობრივ ძალ-მომრეობაზე. ყოველ მარჯვე შემთხვევის დროს უნდა მოაგონონ მასწავლებლებმა მოსწავლეებს, რომ განათლებულმა და განვითარებულმა კაცმა თავისი გრძნობა დაუყოვნებლივ საქმედ არ უნდა აქციოს. ასეთმა კაცმა პირველად გონებისა და სინიდისის კანტროლი უნდა გაუწიოს გრძნობას. უამისოდ კაცი თავის ვნებათა მონად ხდება. ერთის სიტყვით, უფროსებს და მასწავლებლებს, თუ მეცადინეობას არ მოაკლებენ, შეუძლიანთ თვალსაჩინო შედეგს მიაღწიონ და საჭირო ზნეობრივ ჩვეულებანი ჩაუნერგონ მოსწავლეებს.

„მეოთხე, ხელმძღვანელთ და აღმზრდელთ არ უნდა დაივიწყონ, რომ დედ-მამასთან მცხოვრები მოსწავლენი დიდ დროს ატარებენ ოჯახში, რომელსაც შეუძლიან, თუ აცნობებენ მოსწავლეთა მიერ წეს-რიგის დარღვევას, ნაყოფიერი ამხანაგობა და კავშირი გაუწიოს სკოლას ზნეობით აღზრდის საქმეში. დედ-მამას ისე უნდა ეცნობოს, რომ არ იფიქროს, ვითომ სასწავლებლის მთავრობას გადაუწყვეტია სასტიკი ზომები იხმაროს ჩვენის შვილის დასასჯელად, დაუკლოს ნიშანი ყოფა-ქცევაში და ან გამორიცხოსო. დედ-მამა უნდა დარწმუნდეს, რომ იმისგან დახმარებას თხოულობენ მოსწავლის გასწორების საქმეში, თუ გულ-წრფელი სურვილი იქნება დაახლოვებისა, აღმზრდელსა და დირექტორს ყოველთვის შეეძლებათ ოჯახისაგან ხშირად მიიღონ ხოლმე სხვა-და-სხვა საჭირო ცნობა. იმ შემთხვევაში, როდესაც დედ-მამა შემცდარის აზრისაა თავის შვილის შესახებ, სასწავლებლის მთავრობამ უნდა გააცნოს საქმის ნამდვილი ვითარება და აიშოროს უთანხმოება, ოჯახსა და სკოლას შორის გაჩენილი. ამასთან ყურადღება დედ-მამის აზრისადმი არ უნდა მივიდეს პირფერობასა და სკოლის ავტორიტეტის დაცემამდე. რადგან ბევრი მოსწავლე უდედ-მამოდ სცხოვრობს, აღმზრდელებმა, ინსპექტორებმა და დირექტორებმა იმათ სადგომში მისვლის დროს მარტო გარეგნობით არ უნდა დაათვალიერონ; უნდა ეცადნენ ზნეობრივი კავშირი იქონიონ იმათთან. აქაც უფროსნი უნდა სცდილობდნენ მოსწავლეებთან დაახლოვებას. მოსწავლისათვის ისეთი კაცი არ უნდა იყოს მასწავლებელ-აღმზრდელი, რომლისაგანაც ოფიციალურ სიტყვის გარდა სხვა არაფერს მოელიან და რომელსაც არც-კი გაიხსენებენ, როცა ეჭვი და სულიერი ბრძოლა გაივლის.

„ზემოდ სხვა-და-სხვა პედაგოგიური საშუალება აღვნიშნე, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მოსწავლე ახალგაზრდობაზე. მოწაფის სარწმუნოებრივ რწმენას, რასაკვირველია, ჩამოთვლილ საშუალებათა შორის ვერ მოვიხსენიებდი, მაგრამ მასწავლებელმა უსათუოდ ღვთის მცნება უნდა შეაყვაროს მოსწავლეებს და ჩააგონოს, რომ სინიდისიერად იქცეოდნენ და ყველას კეთილის თვალით უყურებდნენ, თვით იმათაც კი, ვისაც მოსწავლეებისათვის უწყენინებია რამე. მაგრამ აქაც მეტის-მეტად ფრთხილად უნდა მოიქცეს მასწავლებელი, ღვთის სახელი ტყუილ უბრალოდ არ ახსენოს და ეცადოს, რომ მოსწავლეები ფარისევლობას არ შეაჩვიოს. არც ის ეპატიება მასწავლებელს, რომ სარწმუნოებრივი დარიგება უბრალო ყოველდღიურ საყვედურს დაუმსგავსოს. ხშირად მოსწავლეს სხვა-და-სხვა მიზეზით, გული უტყდება და თითქმის სასოწარკვეთილებაში ვარდება, მაგალითად, იმის გამო, რომ ან ვერა სწავლობს, ან რაიმე სასჯელი მეტად საწყენად ეჩვენა. საკვირველია სწორედ, რომ ამ დროს მასწავლებლები არაფერ სარწმუნოებრივ ნუგეშს არ აძლევენ გულ-წრფელ მოსწავლეს, არ ამშვიდებენ და არ ამხნევებენ ხოლმე.

„ვფიქრობ, რომ ამ ცირკულიარში მოხსენებულ მოსაზრებას ნამდვილის თანაგრძნობით მიიღებენ თქვენდამი მინდობილ სასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოები და მხნედ ეცდებიან ხელმწიფე-იმპერატორის მიერ აღნიშნულ საქმის შესრულებას და მოსწავლეთა აღზრდას უფრო გონიერადა და გულიანად შეუდგებიან. გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ცირკულიარში მოხსენებული საგნები თქვენის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოში განიხილოთ და ამ განხილვის შედეგი სამინისტროს მოახსენოთ.

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 2201.

ახალი ამბავი

◆ სამი დღეა ბაქოდან არც ერთი მატარებელი არ გამოდის, არც საქონლისა და არც სახალხო. ამ საქმის გამო ბაქოში წავიდნენ რკინის გზის უფროსი და სხვა მოხელენი.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისისა, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების სახელმწიფო ადგილებში რუსეთიდან გადმოსულთა დასახლებას აპირებენ. ამ ადგილების დასათვალიერებლად განსაკუთრებულ მოხელესა ჰგზავნიან. გუბერნატორმა ბრძანება გაუგზავნა მაზრის უფროსებს, რომ ყოველ გვარი დახმარება გაუწიონ ამ მოხელეს.

◆ დღეს, 7 ივლისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს განსახილველად დანიშნული აქვს 27-მდე საქმე. თუ ამ დღეს საბჭომ ვერ მოასწრო ყველა საქმის განხილვა, შემდეგი კრება ოთხშაბათს, 9 ივლისს, მოხდება.

✦ ბევრი სოფლელი სთხოვს ტფილისის მოქალაქეთა გამგეობას ჩარიცხონ ისინი მოქალაქეებად. ასეთ თხოვნების განხილვა გვიანდებოდა, რადგან მოქალაქეთა გამგეობას უფლება არა ჰქონდა, ხოლო რწმუნებულთა კრებები გვიან იმართება ხოლმე. ამ რამდენისამე ხნის წინად ეს საკითხი განიხილა რწმუნებულთა საზოგადო კრებამ და დაადგინა განსაკუთრებულ კომისიის ამორჩევა, რომელსაც უნდა დაევალოს ზემოდ დასახელებულ თხოვნების განხილვა, ცნობების შეკრება და დაკმაყოფილება. ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ეს კომისია. კომისიას სხდომა ჰქონდა და თავმჯდომარედ ამოირჩია დანდუროვი.

✦ **ცხინვალის ხეობიდან გვწერენ:** „ამ ბოლო დროს ძალიან ხშირი წვიმები მოდის და მეტად აფუჭებს უკვე შემოსულ ნათესობას. 21 ივნისს წვიმების გამო ადიდებულმა ლიახვმა დიდი ზარალი მიაყენა ფხვენისსა და იმის გარშემო მდებარე სოფლებს. ამ სოფლის მცხოვრებთ დიდ-ძალი სატევე ხეები ჰქონიათ დამზადებული გასასყიდად, მაგრამ მოვარდნილ ლიახვს მოუტაცნია და სულ მტკვარში ჩაუზიდნია. ბევრს სახლშიაც შესულა წყალი და დიდი ზარალი მიუყენებია.

ეს რამდენიმე წელიწადია ფხვენისის მცხოვრებთა და ხაზინას შორის დაუსრულებელი დავაა. ფხვენისელებს ედავებიან თავ. ამილახვრებიც, რომ გლეხები საბატონოები იყვნენ და უნდა ბეგარა იხადონო. როგორც გვატყობინებენ, გლეხები იმ თავითვე მესაკუთრენი ყოფილან, მაგრამ ამ 20 წლის წინად მომხდარ კამერალურ აღწერის დროს შეცდომით აღწერილობის სიებში თავიანთი თავები სახელმწიფო გლეხებად დაუსახელებიათ და ამ საბუთის ძალით ამტყდარი დავა ჯერაც არ გათავებულა. ამ საქმის გამოსაძიებლად ერთი კვირის წინად ცხინვალში მისულა ხაზინის წარმომადგენელი და ფხვენისელები რამდენისამე დღით დაუბარებია. ვინც გლეხის ცხოვრება იცის, ძნელია ამ დროს იმისი მოცდენა არა თუ ერთის დღით და კვირით, ერთის საათითაც-კი.

ცხინვალის ხეობაში მოსავალი აჭრელებულია: ზოგგან კარგი მოსავალია, ზოგგან ცუდი“.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს შეუწყნარებია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობა პეტროვსკში ვაჟთა გიმნაზიის დაარსების შესახებ.

✦ ტფილისის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიამ განიხილა მოხსენება ერთის თავისს წევრისა. რადგან ბევრნი ხშირად უადგილობისა გამო კიბეებზე დგებიან და შესაძლებელია უბედურება მოხდეს, მოხსენების ავტორი ურჩევს კომისიას, დაავალოს უსახელო საზოგადოებას, ვაგონებში მეტი ბილეთი არ გაჰყიდონ და ფეხზე დგომის ნება არ მისცენ მგზავრებსაო.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 4 ივლისს განიხილა მოხსენება სახელოსნო სასწავლებლის დირექტორისა. დირექტორი ატყობინებს, რომ ყოვლად შეუძლებელია სახელოსნო სასწავლებელში მოსწავლეთა მიღების დროს იხელმძღვანელოს ქალაქის გამგეობის განმარტებით. გამგეობამ დაადგინა, შეატყობინოს დირექტორს, რომ მოსწავლეთა მიღების დროს იმ წესით იხელმძღვანელოს, რა წესიც აქამდე იყო.

დაბა-სოფლები

სოფ. ზაზიანი. (კახეთი). იმის შემდეგ, რაც საზოგადოებამ განაჩენი შეადგინა ქურდებს და მამასახლისი თ. შ. გამრეკელს (ეს მოხდა 18 ივნისს) ქურდობის ხმა აღარ ისმოდა. 29 ივნისს ერთმა შემთხვევამ კიდევ აალაპარაკა ორის სოფლის მცხოვრებნი. ახალ გახსნილებაზე აქაური მედუქნეები გაგვიმასპინძლდნენ მოპარულ მსუქან ხარის ხორცით. საქმე ასე ყოფილა: 22 ივნისს სოფ. ვანდაურის კლდეს (სიღნაღის მაზრა) ჯანიაშვილს დაუკარგავს უღლეული ხარი. ბევრის ძებნის შემდეგ 29 ივნისს დილა ადრიან თავზედ წაადგა გატყავებულს ხარს. იცნო ტყავი და დაიწყო ტირილი. მამასახლისი მოვიდა თუ არა, მაშინვე დაატუსაღა მედუქნე. შეიქნა გამოძიება. თავი, კუდი და ფეხები დამალეს. ცხადად სჩანდა საქმე რაშიაც იყო. აჰკიდეს ხორცი მედუქნეს და წაალებინეს ყრიათუბანში. ერთი ხარი ხომ დაკლეს — მეორე წაიყვანეს ვენახში და ხშირ ჯაგეში დაებათ. აუშვეს და წამოიყვანეს. პატრონი ძალიან სწუხდა და სთხოვა, რომ ზარალად ესეც მიეცეთ, რაც კაცმა იცის, ორი დღის ყანა ცალკე მიფუჭდება მოუმკალათ, მე სასამართლოებში სიარულის თავი არა მაქვს, შინაურულად მომარიგეთ და წავალო. თხოვნა ადვილად შეუსრულეს, მისცეს 30 მანეთი და გაისტუმრეს ცალის ხარით. ხოლო ვის ხელშიაც ნაქურდალი აღმოჩნდა (ორი კაცი), მამასახლისმა მიხეილ ქეცხიშვილმა ბოქაულთან გაისტუმრა. მამასახლისი ფიცხათ მოექცა საქმეს. არ ვიცი, ახალი ცოცხი რომ არის, თუ... კარგი იქნება, თუ ყოველთვის ასე მოეკიდება და არ გაამართლებს ამ ანდაზას: წავიდა იმაც გზაზედა, უწინ რომ იარებოდაო.

ვენახებს კარგად ასხია, მაგრამ აქა-იქ ნაცარმა და მილდიუმ იჩინა თავი. მცხოვრებნი ერთგულად სწამლავენ. ხალხი მაინც იმედს არა ჰკარგავს და მოელის კარგს მოსავალს.

ა. ფ.

სოფელი ძევრი (იმერეთი) ნათქვამია, ერთი ჭირი მარგებელიაო, ასე მოუვიდათ აქაურებს. თუ მეტი არა, ათი წელიწადი მაინც იქნება, რაც ადგილობრივი მღვდელი ნესტორ როფავაძე ცდილობდა ამ სოფელში სკოლის დაარსებას, მაგრამ იმისმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. მრავალჯერ დაადგინეს განაჩენი სკოლის დაარსების შესახებ, მაგრამ საქმის მოგვარებას არა ეშველა რა. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ სოფელში თითო-ოროლა უგულმართო და კეთილი საქმის მოწინააღმდეგე ყოველთვის არის და ამ სოფელშიაც იყო. აქაურებისათვის სკოლის დაარსება გასაჭირი არ იყო, რადგან ადგილი სკოლისათვის დიდი ხანია შეძენილი აქვთ. რადგან სკოლის დაარსების მოწინააღმდეგეთ სხვა ვერა გააწყვეს-რა, შეიპარნენ სკოლის ადგილში და რაც იქ ხეები იდგა, ერთიანად ასჩეხეს. კარგი კიდევ, რომ ბოქაულმა დამნაშავენი აღმოაჩინა და მოჭრილი ხეები სახლებში წაღებული, უკვე მოატანინა, საზოგადოების წინაშე ბოდიში მოახდევინა და მოჭრილ ხეებზე ვაჭრობა მოახდინა; აღებული ოცდა-ცამეტი მანეთი სკოლის შენობის დასახმარებლად გადასცა არჩეულ პირებს. ამ გარემოებამ სკოლის შენობის აგება დააჩქარა. სახლი უკვე შეიძინეს და საქმეს ისე გულით მოჰკიდეს ხელი, რომ შემოდგომისთვის სწავლაც დაიწყება. ბედნიერ დღეთ ჩასათვლელი ის დღე, რომელ დღესაც ზემო ხსენებულმა პირებმა ხეები ასჩეხეს.

აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს. ვენახები და ყანები ძალიან კარგია, რადგან თავის დროზე წვიმები და ღამე ნამი მოუკლდებოდა. რაც შეეხება პურის მოსავალს, იმაზე უკეთესია, რასაც ველოდით.

რ.—შე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშის სააგენტოსაგან)

5 ივლისი.

სამარა. პოკროვსკაია სლობოდაში დაიწვა მთელის პურის მოედანი, 180 ბეღელი, 500 სახლი, ბაზრის მოედნის შესამჩნევი ნაწილი საქონლით, 11 დატვირთული ბარჟა, 2.500,000 ფუთი ხორბალი და 40 ვაგონი და პლატფორმა. 30 კაცი დაიღუპა. ზარალი რვა მილიონისაა. ქონების მომეტებული ნაწილი დაზღვეული არაა.

როსტოვი დონზე. საბჭო შეამდგომლობს, რომ ქალაქს 100,000 მანეთი ერთბაშად მიეცეს და ყოველ წელიწადში 200,000 მანეთი ეძლეოდეს სახალხო სახლისა, სახალხო თეატრისა და ღამის თავ-შესაფარის ასაგებად მუშებისათვის.

ბელგრადი. ავსტრიის ელჩმა მეფეს გამოუცხადა, რომ იმპერატორი ფრანც-იოსები მეგობრულად და თანაგრძნობით გიყურებთო, და იმედი გამოთქვა, რომ ავსტრიასა და სერბიას შუა მეგობრობა და კეთილი მეზობლური ურთიერთობა განმტკიცდებაო. მეფემ მადლობა გადაუხადა და გამოაცხადა, რომ იმპერატორს ყოველთვის მეგობრულად და თანაგრძნობით ვუყურებდითო, ეს გრძნობები მამა-ჩემმა მანდერძა და ამიტომ ერთი ორად უფრო ძვირფასია ჩემთვისაო.

რომი. ბიულეტენი დილის 9 საათზე. „ღამე უძილოდ გაატარა. განთიადიდან დაწყებული პაპს კარგა სძინავს. საზოგადო მდგომარეობა უცვლელია“.

„ოსერვატორე რომანო“ ოფიციალურად იუწყება, გუშინ კარდინალმა რამპოლამ პაპს ზოგიერთი ისეთი რწმუნება მოსთხოვა, რომლებიც პაპის განსაკუთრებულ უფლებას შეადგენდნენ; პაპი დასთანხმდა. მერე რამპოლამ მოახსენა პაპს, რომ მთელი ქვეყნიერობა, იმათ შორის ბევრი არა კათოლიკე სარწმუნოებისაც, დიდ თანაგრძნობას გიცხადებენო. პაპმა სიხარულით მოისმინა ეს ამბავი და კარდინალს ახალი ამბები ჰკითხა და პოლიტიკაზე ელაპარაკა. რამპოლამ მოკლედ უპასუხა. პაპმა ყურადღებით მოისმინა მოხსენება.

6 ივლისი

საროვი. მიტროპოლიტმა ანტონიმ და სხვა სამღვდელო პირთ 3-ს ივლისს ამოასვენეს საფლავიდან ღირსი სერაფიმეს ნაშთი და ზოსიმეს ტაძარში დაასვენეს, სადაც ახლად შემოსეს. იმ დღიდან, რაც იანვარში ღირსი სერაფიმეს ნაშთი შემოწმებულ იქმნა, მის საფლავზედ და სამკურნალო წყაროსთან ყოველ დღე სასწაულები ხდება; ბევრ უსინათლოს სინათლე უბრუნდება.

მოსკოვი. კოლლექციათა შემკრებელმა შჩუკინმა რუმიანცევის მუზეუმს შესწირა უცხოელ მხატვრების სურათები XIV და XVII საუკუნოებისა.

რომი. ექიმებმა შეამოწმეს, რომ პაპი ცოტა უკეთ შეიქმნა. თირკმელები უკეთ მუშაობენ. ლაპპონიმ სთქვა, ავადმყოფობა ისე საშიშ სტადიაში აღარ არის და პაპის მდგომარეობაც ისე საშიში არ არისო.

იოკოჰამა. ბრიტანიის წარმომადგენელი შეამდგომლობს ვიჩჟუს ნავთ სადგურის გახსნის შესახებ უცხოელთა ვაჭრობისათვის. ჰფიქრობენ, რომ კორეის მთავრობა თანაგრძნობით მოეკიდება ამ შუამდგომლობას.

კონსტანტინეპოლი. პირველ ცნობების თანახმად, ბოლგარეთის რაზმმა ტიკვეშის ოქმში მოჰკლა ორი ბოლგარელი და დასწვა სამი სახლი. სამს ვილაიეტში დაიწყეს დაპატიმრებულ ბოლგარელთა განთავისუფლება. 20-მდე სახელოვანი კაცი, რომელნიც უნდა გადაესახლებინათ, თავმდებობით და ფულის ქვეშ განთავისუფლდნენ.

მინსკი. შუამდგომლობა აღძრეს, რომ რუსეთში პირველი ქალთა სამასწავლებლო სემინარია დაარსდეს.

რომი. ბიულეტენი საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე: „მთელის დღის განმავლობაში პაპს ცოტა ეძინა. მაჯა 92, ტემპერატურა 36,8 საერთო მდგომარეობა ცოტად უკეთესია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

სამოსადეგო ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 4 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	37,82½
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98¾ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	95⅛ „
5% 1-ლი შინაგან სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	443 1/2 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ ბილ. 1866 წ.	339 1/2 მყიდ.
5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	290 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	86 „
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92⅜
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქციი	193½ „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან მოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან მოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან მოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დილის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დილის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დილის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დილის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
ოსიპ დავითაშვილის ლექსები	—	50
ზნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. კაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულ—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუისა—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დემონის დაცემა პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძ. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურლამალი	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესვე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ქუთაისში

ექიმ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება [illegible] ალექსანდრეს [illegible] ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—102)

Дозв. ценз. Тифлисъ, 6 Іюля 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)